COLLEGE

მარნეულის კოლეჯი

COLLEGE OF MARNEULI

შპს მარნეულის კოლეჯის ვერიფიკაციის ანგარიში

2021-2022 სასწავლო წელი

ანგარიში მომზადებულია ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის - შორენა ალაგარდაშვილის მიერ და წარმოადგენს 2021-2022 სასწავლო წლის მანძილზე ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ვერიფიკაციის მექანიზმის მიხედვით განხორციელებული საქმიანობის შეჯამებას.

http://www.mc.edu.ge

ზოგადი ინფორმაცია ვერიფიკაციის პროცესებთან დაკავშირებით

შპს მარნეულის კოლეჯის ერთ-ერთი მარეგულირებელი დოკუმენტის - ვერიფიკაციის მექანიზმის საფუძველზე, ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი და წევრები 2021-2022 წლის მანძილზე ახორციელებდნენ ვერიფიკაციის პროცესებს.

2021 წლის 10 ნოემბრის სამუშაო შეხვედრაზე ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელმა სამუშაო ჯგუფის წევრებს გააცნო ვერიფიკაციის მექანიზმი. ის მოვალეობები და პასუხისმგებლობები, რომელიც სამუშაო ჯგუფის წევრებს ეკისრებოდათ ვერიფიკაციის პროცესში. დეტალურად გააცნო ვერიფიკაციის პროცესები და რისკების სისტემა, რომლის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო იმ მოდულების შერჩევა, რომელთაც მოუწევდათ ვერიფიკაციის გავლა.

ვერიფიკაციის პროცესებისთვის მზადება



სასწავლო წლის მანძილზე მოხდა ვერიფიკაციის გეგმის შეცვლა, რაც განპირობებული იყო მასწავლებლის სამსახურიდან განთავისუფლებით, რომელიც იყო ახალბედა მასწავლებელი და წარმოადგენდა ვერიფიკაციით განსაზღვრულ რისკ ჯგუფს. ვერიფიკაციის გეგმაში ცვლილება არ გატარებულა მაგრამ სამუშაო შეხვედრებზე ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ მოხდა ცვლილების გატარება ერთერთი დარგის სპეციალისტთან დაკავშირებით, მოხდა მისი ჩანაცვლება, და ასევე, ერთერთი გამოცდილი მასწავლებლის სასწავლო პროცესზე დროებითი ჩამოშორების გამო მისი მოდული ამოღებულ იქნა ვერიფიკაციის შერჩევიდან.

2021-2022 წწ. რისკების სისტემის მიხედვით ვერიფიკაცია გავლილი მოდულები

დამწყები მასწავლებლის ფაქტორი

- პედიატრია და მოზარდები
- კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები და ანესთეზია.
- სამედიცინო ფიზიკის საფუძვლები.
- რაოდენობრივი წიგნიერება.
- შინმოვლა
- გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები

ერთი ინსტრუმენტით, 5 ან მეტი შედეგის შეფასება

- სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში. *პრაქტიკული-2,3,4,5,6*
- პროდუქციის მიღება განთავსება ნაშთის პერიოდული კონტროლი *პრაქტიკული-2,3,4,5,6,7*
- მეწარმეობა 3. *პრაქტიკული-1,2,3,4,5*

პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება

- ინტერპერსონალური კომუნიკაცია
- შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში
- ინგლისური
- გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
- ბავშვის განვითარების თავისებურებები
- პროფესიული ეთიკა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში
- საექთნო პრაქტიკის პრინციპები სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებებში
- კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა
- პირველადი გადაუდებელი დახმარება
- გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები
- მორფოლოგიის და მემკვიდრეობის საბაზისო საკითხები
- ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები
- ანალიზური ქიმიის საფუძვლები
- პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)

ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის შეხვედრები და ვერიფიკაციის შედეგები

- ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფი შეხვედრებს ატარებდა ყოველი თვის ბოლოს, თუკი გასულ პერიოდში 2 მოდულზე მეტი ასწრებდა ვერიფიკაციის სამივე ფაზის გავლას.
- სასწავლო წლის მანძილზე კვარტალურად (სამგზის) ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ მოხდა ვერიფიკაციის პროცესების შესახებ კოლეჯის დირექტორის ინფორმირება მოხსენებითი ბარათის საშუალებით და ეცნობა ყველა ის გარემობა თუ ხარვეზი, რაზეც კონკრეტულ კვარტალში ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფმა იმუშავა და შეთანხმდა.
- კვარტალური მოხსენებების გარდა, ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელს სამი მოდულის შემთხვევაში მოუწია შეფასების შედეგების გაუქმებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაკეთება კოლეჯის დირექტორთან, რადგან გამოვლინდა ფუნდამენტური ხარვეზები ვერიფიკაციის დასკვნებით. ეს მოდულებია: უცხოური ენა (ინგლისური), ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები, ინტერპესრონალური კომუნიკაცია.
- ჩამოთვლილი მოდულების შემთხვევაში შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით გაუქმდა შეფასების შედეგები და მოდულების შეფასების პროცესები განხორციელდა თავიდან.
- სამივე შემთხვევაში სტუდენტები იყვნენ შესაბამისად ინფორმირებულები შეფასების განმეორების გამო და სამივე მოდულის შეფასების პროცესებმა გაიარა ვერიფიკაცია ყველა წესის დაცვით

რეკომენდაციები

ვერიფიკაციის დასკვნების განხილვისა და სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებების საფუძველზე, შპს მარნეულის კოლეჯში შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელმა გამოსცა რეკომენდაციები, რაც გასათვალისწინებელია საგანმანათლებლო პროგრამებში შემავალი ყველა მოდულის შეფასების პროცესების დროს:

შეფასების ინსტრუმენტი:

- ე.წ ქუდში აუცილებელია ინფორმაციის ზუსტი ასახვა - შეფასებისთვის საჭირო რესურსების ჩამონათვალი, შეცდომების დაშვების რაოდენობა, პირველადი და განმეორებითი გამოცდის თარიღის ასახვა.
- საგამოცდო დრო უნდა მიეთითოს ინსტრუმენტშიც და სტუდენტთა ინფორმირებულობისას მოდულიდან გამომდინარე. გადასამოწმებელია ინსტრუმენტებში მითითებული საგამოცდო დროის მოდულით მოცემულ დროსთან შესაბამისობა. სავალდებულოა მოდულით მოცემული საგამოცდო დროის გათვალისწინება ინსტრუმენტში, შედეგების და მიხედვით.

რეკომენდაციები

შეფასების ინსტრუმენტი:

- როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტის შეფასების ინსტრუმენტში მოცემულ ყველა დავალებას აუცილებლად უნდა ჰქონდეს დავალების შესრულების ინსტრუქცია. ინსტრუქცია უნდა იყოს ნათელი და გასაგები, სტუდენტს უნდა აწვდიდეს კონკრეტული დავალების შესასრულებლად განსახორციელებელი პროცესების შესახებ ინფორმაციას.
- პრაქტიკული დავალებების შემთხვევაში საჭიროა თითოეულ დავალებას მიეთითოს რა დრო დასჭირდება სტუდენტს მის შესასრულებლად.
- პრაქტიკული დავალებების შემთხვევაში საჭიროა თითოეული დავალებისთვის გაიწეროს კონკრეტული და ზუსტი კრიტერიუმები სტუდენტის ობიექტურად შეფასების მიზნით.
- შეფასების ინსტრუმენტში დავალებების რიგითობა არის დასალაგებელი, არეულია ნუმერაცია.
- თეორიული კომპონენტის შეფასების ინსტრუმენტში (ტესტი) არ შეიძლება დავალებების 80-90% იყოს არჩევითბოლოიანი კითხვები. აუცილებელია სხვადასხვა მრავალფეროვანი დავალებების გამოყენება, ღია კითხვები, შესაბამისობის დადგენა, ცხრილები და დიაგრამები, სიტუაციური მაგალითები და ა.შ.

რეკომენდაციები

შეფასების ინსტრუმენტი:

- თეორიული კომპონენტის შეფასების ინსტრუმენტში (ტესტი) არჩევითბოლოიანი დავალებების შემთხვევაში არ შეიძლება სავარაუდო პასუხები იყოს ორი ან სამი, ეს ხელს უშლის სტუდენტის ცოდნის ზუსტ შეფასებას.
- შეფასების ინსტრუმენტში მოცემული დავალებები უნდა გამომდინარეობდეს სწავლის შედეგიდან, რომლის მიღწევის შემოწმებასაც ახდენს მასწავლებელი, და დავალებები უნდა ფარავდეს სწავლის შედეგს სრულად, რომ სტუდენტის შეფასება იყოს ობიექტური და ვალიდური.
- აუცილებელი და სავალდებულოა გამოცდაზე გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი იყოს ვალიდაცია გავლილი და დადასტურებული კოლეჯის აკადემიურ დირექტორთან კოლეჯის რეგულაციებით გაწერილი ვადების დაცვით.
- კოლეჯის რეგულაციითაც არის გათვალისწინებული და აუცილებელია მისი დაცვა კერძოდ: განმეორებით გამოცდაზე უნდა იქნეს გამოყენებული პირველ გამოცდაზე გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტისგან (თეორიული კომპონენტის) განსხვავებული შეფასების ინსტრუმენტი, რადგან სტუდენტს, რომელიც პირველ გამოცდაზე ვერ მიიღებს სწავლის შედეგების დადასტურებას, მას უფლება აქვს კიდევ ერთხელ განმეორებით გამოცდაზე გავიდეს შედეგების გასაუმჯობესებლად, სწორედ ამიტომ დაუშვებელია იდენტური შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება.

რეკომენდაციები

შეფასების პროცესი

- სტუდენტის ინფორმირებულობა - ვერიფიკაციის დროს უმრავლესობა მოდულის შემთხვევაში დაფიქსირდა შპს მარნეულის კოლეჯის მიერ განსაზღვრული და რეგულაციებით გათვალისწინებული ვადები, პროცედურა და შინაარსობრივი მხარესთან დაკავშირებული რეგულაციების დარღვევა. აუცილებელია მასწავლებლების ხშირი ინფორმირება, აღნიშნულ რეგულაციასთან დაკავშირებით და დარღვევებზე ადმინისტრაციის მხრიდან რეაგირება.
- შეფასების პროცესის დრო (საგამოცდო დრო) – აუცილებელია საგამოცდო დრო იყოს მოდულით გათვალისწინებული დროის შესაბამისი.
- დაუშვებელია შეფასების თარიღის ცვლილება სტუდენტების ინფრომირებულობის შემდეგ და თვითნებურად. ფორსმაჟორულ სიტუაციაშიც კი უნდა მოხდეს აკადემიური დირექტორის თანხმობით სტუდენტების დროული ინფორმირება.
- შეფასების პროცესისთვის საჭირო რესურსი - თუკი დავალებებზე მუშაობის დროს სტუდენტს სჭირდება რესურსი, მასალა ან აღჭურვილობა ეს უნდა იყოს პირველ რიგში ინსტრუმენტით გათვალისწინებული და შეფასების პროცესის დროს უნდა მოხდეს სტუდენტის უზრუნველყოფა საჭირო რესურსით.
- დაუშვებელია შეფასების პროცესის დროს სტუდენტის მიერ ისეთი აღჭურვილობის ან რესურსის გამოყენება, რაც შეფასების ინსტრუმენტით ნება დართული არ არის.
- დაუშვებელია სტუდენტებს შორის დავალებების პასუხებზე საჯარო მსჯელობა და ერთობლივი პასუხები, თუკი დავალების პირობა არ ითვალისწინებს ჯგუფურ სამუშაოს.

რეკომენდაციები

მტკიცებულებების და შეფასების უწყისის წარმოება და შენახვა

- მტკიცებულებების შემოწმება ხშირ შემთხვევაში იყო არაობიექტური. განსხვავებული პასუხების შემთხვევაში სტუდენტები ფასდებოდნენ ერთნაირად, და ერთნაირი პასუხების შემთხვევაში სტუდენტების შეფასება იყო განსხვავებული, ზოგს ჩაუთვალეს დადებითად, ზოგს არა. აუცილებელია გადამოწმდეს მასწავლებლის მიერ შეფასებული სტუდენტის მტკიცებულებები. ხოლო პრატქიკული კომპონენტის გამოცდების დროს მოხდეს ჩანაწერების გაკეთება.
- სავალდებულო და აუცილებელია კოლეჯის რეგულაციების შესაბამისად, სტუდენტის მტკიცებულებების შენახვის ვადების დაცვა.
- სავალდებულოა შეფასების უწყისის წარმოების და შენახვის წესების დაცვა როგორც კოლეჯის რეგულაციებით არის გათვალისიწინებული.

რეკომენდაციები

მტკიცებულებების და შეფასების უწყისის წარმოება და შენახვა

- დაუშვებელია სტუდენტის მტკიცებულებებზე რაიმე სახის მინაწერი, ან შეფასების აღმნიშვნელი ჩანაწერის გადახაზვა და სხვის მიწერა, ასევე დაუშვებელია კორექტორის გამოყენება და რაიმეს ჩასწორება. თუნდაც ტექნიკური ხარვეზის, ეს უნდა ეცნობოს აკადემიურ დირექტორს და მისი მითითებით მოხდეს გამოსწორება.
- სტუდენტის მტკიცებულებას აუცილებლად უნდა ჰქონდეს სახელი და გვარი მიწერილი, რომ შეიძლებოდეს სტუდენტის იდენტიფიცირება.
- აუცილებელია სტუდენტის მტკიცებულებას ჰქონდეს საგამოცდო თარიღი მითითებული და დაუშვებელია მისი გადასწორება.
- დაუშვებელია მასწავლებლის მიერ სტუდენტის მტკიცებულებების კოლეჯის გარეთ გატანა ან მისი შემოწმების ვადების დარღვევა.